



საქართველოს იურიდიული პირი  
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030452735160715

04-218/ო

03 / აგვისტო / 2015 წ.

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივნისის N308 დადგენილებით დამტკიცებული „2015 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“ მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე და 61-ე მუხლების, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2015 წლის 30 ივლისის 01/56759 ( 04/56296, 29.07.2015 წ.) წერილის გათვალისწინებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. დამტკიცდეს:

ა) საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივნისის N308 დადგენილებით (შემდგომში–დადგენილება) დამტკიცებული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებლების მიერ, საანგარიშო პერიოდში, სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოში წარმოსადგენი ანგარიშგების ფორმები (დანართი N1–N21; N23–N31);

ბ) „2015 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“ ფარგლებში, საანგარიშგებო დოკუმენტაციის (შემთხვევათა რეესტრი) შევსების ინსტრუქცია (დანართი N22).

2. ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართებიდან:

ა) N29, N30 და N31 დანართების მიხედვით მიმწოდებლის მიერ საანგარიშგებო დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს 2015 წლის ივლისიდან გაწეულ სამედიცინო მომსახურებაზე;

ბ) N29, N30 და N31 დანართების გარდა, ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული სხვა დანართების მიხედვით საანგარიშგებო დოკუმენტაცია შეიძლება წარმოდგენილ იქნეს როგორც 2015 წლის 1 ივლისიდან, ასევე, ამ პერიოდამდე გაწეულ სამედიცინო მომსახურებაზე.

### 3. დაევალოთ:

ა) სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტს, სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრებსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალს, ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართების გაცნობა შესაბამისი მიმწოდებლებისათვის და საჭიროების შემთხვევაში, დახმარების აღმოჩენა საანგარიშო პერიოდში წარმოსადგენი ანგარიშგების შესაბამისი ფორმ(ებ)ის შევსებასთან დაკავშირებით;

ბ) სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (გ. გოგოლაძე), უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და მისი დანართების განთავსება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ([www.ssa.gov.ge](http://www.ssa.gov.ge)).

4. 2015 წლის ივლისიდან, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „2014 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ სააგენტოს 2014 წლის 10 დეკემბრის 04-373/ო ბრძანება.

5. ბრძანების შესრულების კოორდინაცია დაევალოს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დეპარტამენტის უფროსს (კ. ჩხარტიშვილს).

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს  
დირექტორი, საქართველოს შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის  
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე